№2 / 16 იანვარი / 2008წ /

ყოველთვიური ჩანართი

ძვირფასო მკითხველო,

გილოცავთ 2008 წლის დადგომას. ახალი წელი აღმოსავლური კალენდრის მიხედვით ვირთხის წელია. ვირთხა კი ცნობილია თავისი ჭკუით, ამტანობით და გამჭრიახობით. ეს ის თვისებებია, რომლებიც დღეს ასე გვჭირდება ყველას, ქვეყნისათვის ასეთ რთულ და გარდამავალ ეტაპზე. ჩვენს გონიერებაზე, ამტანობასა და გამჭრიახობაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გადავიტანთ ამ გარდამავალ პერიოდს და როგორ საფუძველს ჩავუყრით ჩვენს სახელმწიფოებრიობას. სახელმწიფო ეს ხელისუფლება არ არის, სახელმწიფო ვართ ჩვენ, ყველანი ერთად და როგორ ვიცხოვრებთ, როგორი მომავალი გვექნება მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული.

დასახული ამოცანების შესრულების, ახალი იმედების, მშვიდობისა და აღმავლობის წელი ყოფილიყოს ყველა თვენგანისათვის ახალი, 2008 წელი.

ლევან გობაძე,
ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ გამგეობის თავმჯდომარე

ერთი შეხვედრის ისტორია

მოსახლეობა ირჩევს იმ პრობლემას, რომელიც ყველაზე მეტად აწუხებს

მოქალაქე ხელისუფლებას ირჩევს იმისათვის, რომ ემსახუროს და იზრუნოს მისი პრობლემების მოგვარებაზე და არა უფლებების შეზღუდვაზე, მნიშვნელობა არ აქვს ხელისუფალი ცენტრალური იქნება, რეგიონალური თუ ადგილობრივი.

დღეისათვის, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, მათი საქმიანობის ტენდენცია იქითკენაა მიმართული, რომ ბიუჯეტის შედგენის დროს მოსახლეობის ინტერესები მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული, თუმცა ამას მათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი: „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილების შესახებ“ მუხლი 20, პუნქტი 1 ავალდებულებს, სადაც ნათქვამია - „საბიუჯეტო წლის პრიორიტეტების დასადგენად და მიზნობრივი პროგრამების შერჩევის მიზნით ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსსთა და ეკონომიკის სამინისტრო მთავრობასთან შეთანხმებით ყოველი ახალი საბიუჯეტო წლისათვის იწყებს კვლევებს სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორში არსებული პრობლემებისა და სოციალური დაკვეთის შესწავლისათვის“.

მიუხედავად კანონის მოთხოვნისა, ასეთი კვლევები პრაქტიკულად არ ტარდება, რომლებსაც მრავალი, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზი განაპირობებს.

არასამთავრობო ორგანიზაცია ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ პროექტის – „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ – ფარგლებში მოსახლეობის საერთო კრებებს ატარებს, სადაც ხდება თემებში არსებული პრობლემების გამოკვეთა და პრიორიტიზაცია. ერთ-ერთ ასეთ საერთო კრებაზე 28 დეკემბერს, ქედის მუნიციპალიტეტში, ზვარეს თემში „ინტელექტმა“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე მერაბ ქიძინიძე და ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ნაერთი ბიუჯეტის განყოფილების უფროსი თეა ჯანაშია მიიწვია.

შეხვედრა „ინტელექტის“ მიერ შემუშავებული მეთოდით ჩატარდა, რომელმაც დიდი მონონება დაიმსახურა, როგორც მოსახლეობის, ისე სტუმრების მხრიდან:

გუგული ანანიძე, ზვარეს მკვიდრი: - „პრობლემების ასეთი სახით გამოვლენა მომეწონა, ეს მეთოდი საინტერესო იყო. ადამიანი რომ დაინახავს, ვიღაც გვეხმარება, ნდობა გაღრმავდება და აგრესიულიც აღარ იქნება. ხალხი მიეჩვია სხვისი ხელით საქმის კეთებას, ჩვენ კი არაფრის კეთება არ გვინდა. კარგია, რომ საინიციატივო ჯგუფი შეიქმნა, რადგან ჩვენ შეეძლებთ ჩავერთოთ პრობლემის მოგვარებაში და სხვაზე აღარ ვიყოთ დამოკიდებული, ხელისუფლებაც თუ აიღებს თქვენგან მაგალითს, უკეთესი იქნება.“

ცისანა ბერიძე, ზვარეს მკვიდრი: „როცა ყველაფერი მოწესრიგებულია, ორგანიზაციასთან თანამშრომლობა საინტერესო და სასარგებლოა, ამასთან მოსახლეობის ინტერესებსაც ითვალისწინებთ, ეს კარგია, რადგან ასეთი რამ ხშირად არ ხდება. ყურადღების შემდეგ ხალხი უფრო გულახდილი და ხელისუფლების მიმართ მომთხოვნი ხდება.“

მერაბ ქიძინიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე: „რა პრობლემებიც არის სამოქალაქო სექტორში, ბიუჯეტიც იმ პრობლემების გარშემო უნდა შედგეს. აი ეს, რაც ვნახეთ აქ მოულოდნელი და სასიამოვნო ფაქტი იყო. ჩვენ, ხელისუფლების წარმომადგენლები კაბინეტებში ვზივართ და ვფიქრობთ, რომელ სოფელს სასმელი წყალი სჭირდება, რომელს – გზა, რომელს – სარწყავი არხი, მაგრამ მოსახლეობას ამ დროს შეიძლება სულ სხვა პრობლემის მოგვარება ესაჭიროებოდეს. ეს შეხვედრები ამ მხრივაც საინტერესოა. ასეთი კვლევები არასამთავრობო ორგანიზაცია „ინტელექტის“ მიერ ჩატარდება აჭარის 63 თემში, შემდეგ მოხდება მიზნობრივი პროგრამების შედგენა, მათი განხილვა თვითმმართველობის ორგანოებში და ხალხის მხრიდანაც ნდობა გაიზრდება. მეთოდიც გადასარევია, მთავარი ის არის, რომ მოსახლეობა კმაყოფილია და უფრო ადვილია ხელისუფლების მხრიდან პრობლემების გადაჭრა, რადგან მოსახლეობა ირჩევს იმ პრობლემას, რომელიც ყველაზე მეტად აწუხებს და რომელიც მოგვარებადია. სასიამოვნოა ისი ფაქტიც, რომ სწორედ ის პრობლემა გვარდება, რომელიც ხალხმა აირჩია და მათი გადაწყვეტილებით გამოიკვეთა. აი სწორედ ამ მეთოდს ჰქვია სინთეზი ხალხსა და ხელისუფლების თანამშრომლობას შორის“.

როგორ უნდა ჩაერთოს მოსახლეობა პროექტში?

თემებში არსებული პრობლემების ეფექტური გადაწყვეტისათვის აუცილებელია თვით თემის მოსახლეობის აქტიური ჩართულობა ამ პრობლემების გამოკვეთისა და თავიანთი ინტერესების დაცვის პროცესში.

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი "ინტელექტი" პროექტის – "თემთა მობილიზაციის ინიციატივა" – განხორციელებით ცდილობს აჭარის რეგიონში დანერგოს თემებში არსებული პრობლემების კვლევისა და პრიორიტეტების განსაზღვრის ობიექტური მეთოდოლოგიები, რომლებიც საფუძვლად დაედება მუნიციპალური ბიუჯეტების ფორმირებას. ამ კვლევებში კი აქტიურად იქნება ჩართული თემის რწმუნებული, საკრებულოს მაჟორიტარი წევრი და თვით თემის მოსახლეობა.

პროექტის ფარგლებში აჭარის რეგიონის 63 თემში ჩატარდება მოსახლეობის საერთო კრებები თემების რწმუნებულებისა და საკრებულოს მაჟორიტარი წევრების მონაწილეობით. გამოიკვეთება არსებული პრობლემები და განისაზღვრება პრიორიტეტები.

აქ მოყვანილია სქემა, რომლის მიხედვითაც განხორციელდება დაგეგმილი საქმიანობები ყოველ თემში:

- თემის ყველა სოფელში, თვალსაჩინო ადგილზე, გამოიკვრება განცხადება კრების ჩატარების თარიღის, ადგილისა და დამსწრეების შესახებ. განცხადების მიზანია, კრებაზე მოიწვიოს თემის მოსახლეობის მაქსიმალური რაოდენობა;
- დანიშნულ დღეს, კავშირის ექსპერტების მიერ, ჩატარდება კრება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ადგილობრივი მოსახლეობა, თემის რწმუნებული და საკრებულოს მაჟორიტარი წევრი;
- კრებაზე მოსახლეობის მიერ მოხდება თემში არსებული პრობლემებისა და საჭიროებების დასახელება და სპეციალური მეთოდიკის გამოყენებით უპირატესი პრობლემების განსაზღვრა;
- კრებაზე ასევე მოსახლეობის მიერ მოხდება საინიციატივო ჯგუფების წევრების (5-20 კაცი) არჩევა, რომლებიც შემდგომში კავშირის ექსპერტებთან ერთად იმუშავებენ მიზნობრივი პროგრამების შედგენაზე;
- კავშირის ექსპერტები ჩაატარებენ ტრენინგს საინიციატივო ჯგუფის წევრებისათვის მიზნობრივი პროგრამების შედგენის პრინციპებზე;
- საინიციატივო ჯგუფის წევრები, კავშირის ექსპერტები, თემის რწმუნებული, საკრებულოს მაჟორიტარი წევრი ერთობლივად შეიმუშავებენ მიზნობრივ პროგრამას თემში გამოკვეთილი მთავარი პრობლემის გარშემო;
- შემდეგი საფეხურია მიზნობრივი პროგრამების განხილვა მუნიციპალიტეტების გამგეობებსა და საკრებულოებში, მოსახლეობის მიერ ამ პროგრამების ლობირება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, რათა შემუშავებული მიზნობრივი პროგრამები ჩართული იქნეს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში;
- ის მიზნობრივი პროგრამები, რომელთა ბიუჯეტებიც დიდია, მათი ლობირება განხორციელდება აჭარის მთავრობაში მათი ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან დაფინანსების მიზნით;
- დაფინანსების შემდეგ საინიციატივო ჯგუფი განახორციელებს თავის თემში მიზნობრივი პროგრამის შესრულების მონიტორინგს.

იმედი გვაქვს, რომ პროექტის რეალიზაციის შედეგად დამკვიდრდება საბიუჯეტო კვლევების განხორციელების პრაქტიკა, რომლებშიც აქტიურად იქნება ჩართული თემების მოსახლეობა.

ჩვენი აზრით, პროექტის რეალიზაცია საშუალებას მოგვცემს დავამკვიდროთ კოლექტიური პასუხისმგებლობის ტრადიცია ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირებასა და მათ შესრულებაზე.

ნუ დარჩები გვერდზე, მოდი საერთო კრებაზე და ერთად გავაკეთოთ საერთო საქმე.

„თქვენ გენაცვალეთ სულში“, ანუ როგორ შეფასებას აძლევს მოსახლეობა პროექტს

2007 წლის 12 ოქტომბრიდან არასამთავრობო ორგანიზაციამ - ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ ახალი პროექტის – „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ – განხორციელება დაიწყო. პროექტმა დიდი მხარდაჭერა მოიპოვა, როგორც მოსახლეობის, ისე ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან. დღეისათვის აჭარის ხუთ მუნიციპალიტეტში ჩატარებულია მოსახლეობის 14 საერთო კრება, გამოკვეთილია 14 პრობლემა, რომელთა მიზნობრივ პროგრამაზე „ინტელექტის“ ეკონომიკის ექსპერტები უკვე მუშაობენ. სარწყავი არხის პრობლემა აწუხებს ვაშლოვანის, დიდაჭარის (ხულოს მუნიციპალიტეტი) და დანდალოს (ქედის მუნიციპალიტეტი) თემებს; გზის შეკეთებას ითხოვენ დეკანაშვილების (ხულოს მუნიციპალიტეტი), კირნათის (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი) და საჩინოს (ქობულეთის მუნიციპალიტეტი) თემის მცხოვრებლები; მდინარეზე დამცავი ჯებირის გაკეთება სურთ ჩაისუბნის (ქობულეთის მუნიციპალიტეტი) და ცხმორისის (ქედის მუნიციპალიტეტი) მოსახლეობას; ხალელებსა (ქობულეთის მუნიციპალიტეტი) და წონიარისელებს (ქედის მუნიციპალიტეტი) ბაგა-ბაღის აშენება უჩრევნიათ; ზვარეს (ქედის მუნიციპალიტეტი) მცხოვრებლებს – წვენების ქარხნის ამოქმედება, სარფელებს (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი) – ამბულატორიის რეაბილიტაცია, აჭარისწყლის თემს (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი) – კულტურის სახლის რეაბილიტაცია, მაჭახლელებს (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი) კი ავტობუსის დანიშვნა უნდათ ბათუმიდან-სოფელ ზედა ჩხუტუნეთის მიმართულებით.

„ინტელექტის“ წარმომადგენლები მსგავს კრებებს კიდევ აჭარის 49 თემში ჩაატარებენ.

გთავაზობთ იმ ადამინების დამოკიდებულებას პროექტისადმი, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ პროექტში ბენეფიციალების სახით:

რეზო ბოლქვაძე, ქედის მუნიციპალიტეტი, წონიარისის მკვიდრი - „რამდენი პროექტიც დაიწყო „ინტელექტმა“ ყველამ გაამართლა. ამ ორგანიზაციის იმედი ნამდვილად გვაქვს, რადგან ეს პირველი პროექტი არ არის, რომელსაც ახორციელებენ. კრება მომეწონა, მაგრამ მთავარი მაინც ფინანსებია. როცა ფული იქნება, საქმის გაკეთება იოლია. თუ არასამთავრობო ორგანიზაციაც დაგვეხმარება ხელისუფლებას ხმა მივანვდინოთ ამას რა ჯობია. ხალხს, მცირედიც

შეხვედრა აჭარისწყლის თემში

შეხვედრა დიდაჭარის თემში

რომ გაკეთდეს, ისიც უხარია. თქვენ გენაცვალეთ სულში, თუკი რამეს მიხედავთ, მაგას რა ჯობია, მაგრამ მოსახლეობა რომ უფრო აქტიური იყოს, უკეთესი იქნებოდა.“

მერი შარაბიძე, ქედის მუნიციპალიტეტი, წონიარისის მკვიდრი: „პრობლემები, რაზეც აქ ვისაუბრეთ, ყველა აქტუალური და სოფლისათვის მნიშვნელოვანია. ჩვენ ავირჩიეთ თემის საერთო პრობლემა - ბაგა-ბაღი, რომელიც მარტო ერთი სოფლის ინტერესებში კი არ შედის, არამედ მთელი თემის. მინდა გითხრათ, რომ კრება, მეთოდოლოგია და პრობლემების გამოკვეთის მეთოდი განსაკუთრებით მომეწონა.“

რამიზ დუმბაძე, ქედის მუნიციპალიტეტი, ცხმორისის მკვიდრი: „ვფიქრობ, რომ უბრალო გლეხი კაცის ბედი არავის აინტერესებს. ამას წინათ იყვნენ მთავრობის წარმომადგენლებიც, დაგვპირდნენ წინასაარჩევნოდ ყველაფერს, მაგრამ დარწმუნებული ვარ მომავალ არჩევნებამდე არავის გავახსენდები. დღეს არასამთავრობო ორგანიზაციასთან შეხვედრის შემდეგ გამიჩნდა იმედი, რომ ვიღაცისთვის „სულ ერთი“ არ ვყოფილვართ. დიდი მადლობა „ინტელექტს“ ამ იმედისთვის და დარწმუნებული ვარ დადებითი შედეგები აუცილებლად მოყვება თქვენთან თანამშრომლობას.“

ზეინაბ წულუკიძე, ქედის მუნიციპალიტეტი, წონიარისის მკვიდრი: „პროექტი მთლიანად დადებითად არის შესაფასებელი, რადგან ადგილობრივი ბიუჯეტის თანხები ერთიანი პიროვნებების გადაწყვეტილებით იხარჯებოდა და პრიორიტეტების გამოკვეთის დროს ხალხის აზრს არავინ ითვალისწინებდა. ვიღაც ასახელებდა პრობლემას, სადაც ხალხის სურვილი საერთოდ არ იყო გათვალისწინებული. დღეს კი აქ საზოგადოების აზრი დაფიქსირდა, ყველა უბანს და სოფელს სხვადასხვა პრობლემა ჰქონდა, საბოლოოდ კი გამოიყო ის პრობლემა, რომელიც საერთოა. იმედი მაქვს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც ჩაერთვებიან პროექტში, რადგან ვიცი, რომ ცენტრალური ხელისუფლება მოწოდებულია იმისკენ, რომ ხალხისაგან წამოსული პრობლემები დაფინანსდეს. რაც შეეხება კრებას, მინდა ვთქვა, რომ ბევრ კრებას დავსწრებივარ როგორც ხელისუფლების მიერ ჩატარებულს, ისე არასამთავრობოების მიერ, მაგრამ ასეთი საქმიანი და საზოგადოების მხრიდან ასეთი დაინტერესება არასდროს ყოფილა“.

ნაზი დევაძე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სარფის მკვიდრი: „ძალიან კარგია მოსახლეობის აზრის გათვალისწინება რომ ხდება, ძალიან მოგვეწონა პროექტის ძირითადი მიზნები, განსაკუთრებით ის, რომ პრობლემების გამოკვლევა ხალხის მონაწილეობით ხდება და არა ვილაცის ზეპირი გადაწყვეტილებით.“

იზოლდა ბარამიძე, ქედის მუნიციპალიტეტი, წონიარისის მკვიდრი: „თავიდანვე ვფიქრობდი, რომ კრებაზე მოსვლა უაზრობა და არაფრის მომცემი იქნებოდა, მაგრამ კრების მსვლელობისას დავრწმუნდი, რომ ვცდებოდი. ჩემში დიდი ინტერესი გამოიწვია პრობლემების გამოკვეთამ, საკმაოდ საინტერესო პროცესია. თუმცა „ინტელექტთან“ ერთი სათხოვარი მექნება, თუ პრობლემის არჩევაში დაგვეხმარნენ და მომავალში მიზნობრივ პროგრამასაც შეიმუშავებენ, დაფინანსების პროცესს ბოლომდე უნდა მიჰყვენ და გააკეთონ.“

ამირან ბექირიში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სარფის მკვიდრი: „მომწონს იდეაც, დასაწყისიც, საქმის კეთების გზებიც, მაგრამ შედეგი რა იქნება, ეს არის მთავარი. მე ჩემი მხრიდან აქტიურად ჩავერთვები პროექტის განხორციელებაში. იმედი მაქვს, ამის შესაძლებლობა მომეცემა“.

სათემო კავშირი „მაჭახელა“

ლამარა ნაგერავაძე

თემის მოსახლეობის გაერთიანება, მათი ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტის პროცესებში აქტიური მონაწილეობა, თვითმმართველობის არსებობის მთავარ საფუძველს წარმოადგენს. მოსახლეობის გაერთიანების ერთ-ერთი ფორმა კი სათემო კავშირებია. სათემო კავშირი თავისი არსით არასამეწარმეო იურიდიულ პირს (იმავე არასამთავრობო ორგანიზაციას, როგორც მას დღეისათვის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი უწოდებს) წარმოადგენს, ოღონდ მისი მოქმედების არეალი შეზღუდულია ერთი ან რამდენიმე თემით.

2002-2003 წლებში აჭარის რეგიონში, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ “ინტელექტის” ძალისხმევითა და ხელშეწყობით ოცი სათემო კავშირი ჩამოყალიბდა. ყოველმა მათგანმა გავითარების რთული გზა განვლო. ბევრმა ვერ გაუძლო დროს და არსებობა შეწყვიტა. ბევრი მათგანი კი დღესაც არსებობს და წარმატებით აგრძელებს თავის საქმიანობას. სათემო კავშირების საქმიანობის ერთ-ერთ წარმატებულ მაგალითის “მაჭახელა” წარმოადგენს. სათემო კავშირი “მაჭახელა” დაფუძნებულია 2003 წელს მაჭახელას თემის მოსახლეობის მიერ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ “ინტელექტის” მხარდაჭერით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განხორციელებული სათემო კავშირების მხარდამჭერი პროექტის ფარგლებში.

ამავე წელს სათემო კავშირმა – “მაჭახელამ”, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირთან და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, განახორციელა სოფელ აჭარისაღმართის სკოლის რეაბილიტაციის პროექტი, რომლის ფარგლებში გარემონტდა სკოლის სველი წერტილები, სახურავი, ელექტროგაყვანილობა, გამოიცვალა იატაკი საკლასო ოთახებში. პროექტის დასრულების შემდეგ „მაჭახელა“ დამოუკიდებლად განაგრძობდა მუშაობას. მოგვიანებით იგი არასამთავრობო ორგანიზაცია „კურაციოსთან“ ერთად ახორციელებდა მედიცინის განვითარების ხელშეწყობის პროგრამას.

2007 წლის ოქტომბრიდან სათემო კავშირი “მაჭახელა” კვლავ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ “ინტელექტის” პარტნიორია და მონაწილეობას იღებს პროექტის – “თემთა მობილიზაციის ინიციატივა” – განხორციელებაში. პროექტის ფარგლებში “მაჭახელა” განახორციელებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის თემებში მოსახლეობის მობილიზაციას აქ არსებული პრობლემების გამოკვეთის, მათი პრიორიტიზაციის, მიზნობრივი პროგრამების შემუშავების და ადგილობრივ ბიუჯეტებში მათი ჩართვისათვის ლობირების განხორციელებისათვის.

ლამარა ნაგერავაძე, სათემო კავშირ „მაჭახელას“ თავმჯდომარე: „ჩვენს სათემო კაშირს და „ინტელექტს“ თანამშრომლობის არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ მაჭახელას თემში ამ ორგანიზაციას ყველა იცნობს. პროექტის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრები დეკემბრის თვიდან დავიწყეთ. მთლიანად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში კი ცოტაათი გვიჭირს მუშაობა და ხალხის მობილიზაცია, რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილი უნდობლად გვიყურებს. დღეისათვის ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია მიეკედლა ოპოზიციურ პარტიებს და ხალხის ნდობა დაკარგა, მაგრამ ამას არჩევნებს ვაბრალებ. იმედია, არჩევნების შემდეგ ყველაფერი კარგად იქნება და ხალხიც პროექტში აქტიურად ჩაერთვება. წყალმომარაგება, გზები, ტრანსპორტი - ეს იმ პრობლემების მცირე ჩამონათვალია, რომლის წინაშეც დღეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი დგას და რომლებიც მოგვარებადია. მოხარული ვიქნები თუ ჩემი საქმით ჩემს ხალხს დავეხმარები, პრობლემების მოგვარებაში წვლილს შევიტან, ჩემი საქმიანობაც ხომ სწორედ ამ მხრივ მიდის“.

საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

ИНТЕЛЕКТИ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: გურანდა შაინიძე

საგაზეთო ჩანართი „თემთა ინიციატივა“
მისამართი: ბათუმი, რუსთაველის გამზ. №25
ტელ.: 77415, ფაქსი: 77126
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებგვერდი: www.intellect.org.ge